ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1937294

ნომერი: AR1315087

თარიღი : 04.06.2015

გაცემის თარიღი : 05.06.2015

გაცნობის თარიღი : 05.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "დიდი დიღომის ტერიტორია" ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გია მურაჩაშვილი პ/ნ 01019011728
- თბილისი ჭ.ლომთათიძის ქ. N 82

ორგანიზაცია:
- ოქროს ხანა კოდი: 400121408

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.12.2013 წ. #1039697 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 04 ივნისს #AR1315087 განცხადებით მომართა შპს ,,ოქროს ხანა“–ს დირექტორმა გია მურაჩაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 27.12.2013 წ. #1039697 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ მიწის ნაკვეთის

სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 27.12.2013 წ. #01.72.14.040.004 (1000 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებულ იქნა #1039697 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2015 წლის 16 აპრილის #16 სხდომის შესაბამისად, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდი დიღომის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.040.004) ფუნქციური ზონის – საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ–3)–ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ით შეცვლის საკითხს მიეცა თანხმობა. ხოლო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 მაისის #12–52 დადგენილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთს შეეცვალა ზონა და გახდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ–2).

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 27.12.2013 წ. #1039697 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)–ის ნაცვლად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის დაფიქსირებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონის ცვლილება უნდა აისახოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება 27.12.2013 წ. #1039697 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეცვლილი ზონის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.12.2013 წ. #1039697 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს – საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ–2);
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.12.2013 წ. #1039697 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრიდან ამოღებულ იქნას შემდეგი ჩანაწერები:
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0,7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე: - 15,0 მ.;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3=0,1;

3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.12.2013 წ. #1039697 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრას დაემატოს შემდეგი ჩანაწერები:
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0.7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=4.6;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3=0.1;

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.12.2013 წ. #1039697 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.